# ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №38

ქ. თბილისი 26 სექტემბერი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომრის მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი მდივანი ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: დავით მახარობლიშვილი, გია აბულაძე, მანუჩარ მახათაძე, ნიკოლოზ ჩხაიძე, გიორგი ჩაჩანიძე.

მოწვეულები: მ. ბალიაშვილი, გ. სულაბერიძე, გ. მეტრეველი, ლ. ჩიქოვანი, ლ. ჩხაიძე, ა. მამულაშვილი, ალ. ჩიკვაიძე, ვ. ლეჟავა, ჯ. საჯაია, კ. არაბიძე, ლ. სიმონიშვილი, დ. სიმონიშვილი, ნ. როინიშვილი, რ. ტყემალაძე, ნ. ფარცხალაძე, ვ. ცომაია, თ. ჯაფარიძე, ლ. ოქროპირიძე, ვ. ხეცურიანი, ირ. გავაშელი, გ. გოგრიჭიანი, თ. ცოფურაშვილი, შ. მელიქიძე, პ. ჯღარკავა, ვ. ლეკბორაშვილი, გ. ნოზაძე, მ. საღარეიშვილი, ლ. შონია, შ. ღუჭაშვილი, ე. რაქვიაშვილი, ზ. სამხარაძე, რ. ლომინაძე, გ. ონიაძე, გ. ჩიტაშვილი, გ. ტაბატაძე, ქ. ჩემია, მ. ლაზარიაშვილი, გ. ჯანელიძე, მ. ბაიდარაშვილი, გ. მეგრელიშვილი, გ. დათებაშვილი.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

**5.** ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბახტრიონისა და ფანასკერტელის ქუჩების მიმდებარე ფერდობზე არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.16.004.019) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

**6.** ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ს. ჩიქოვანის ქ. №45-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ლ. სიმონიშვილი, დ. სიმონიშვილი).

**7.** ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ბოჭორმის ქ. №5-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

**8.** ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის II შესახვევი №7, გაგარინის II შესახვევი №9-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ნ. როინიშვილი).

**9.** ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გულუას ქუჩა, I ხეივნის 6 და 8-ის მიმდებარედ, I ხეივნის ქ. №13-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.18.05.003.111) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – რ. ტყემალაძე, ნ. ფარცხალაძე).

**10.** ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩა, ფიზიკის ინსტიტუტისა და საბურთალოს ახალი პანთეონს შორის, ინდ. მენაშენთა ამხანაგობა "ვაკე" არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.177) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ნ. ფარცხალაძე).

**11.** ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ონიაშვილის ქ. №31-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ვ. ცომაია).

**12.** ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ტ. ტაბიძის ქ. №90-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – თ. ჯაფარიძე).

**13.** ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გამრეკელის ქ. №19-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.013.005-ის მიმდებარედ) ესკიზით წარმოდგენილი მოცულობის განთავსების შესაძლებლობის შესახებ.

(მოწვეული – თ. ჯაფარიძე).

**8.** ნ. როინიშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის II შესახვევი №7, გაგარინის II შესახვევი №9-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ზ. ხაჩიძე. **AR 1163784**
დადგენილი პარამეტრები – **კ2=2,5.**
მოთხოვნილი პარამეტრები – **კ2=3,7.**

**აზრი გამოთქვეს:**

- არ არის მისაღები. არ არის გათვალისწინებული საბჭოს რეკომენდაციები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. მაქსიმუმ 3,5.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.

**უარი ეთქვას** ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, გაგარინის II შესახვევი №7, გაგარინის II შესახვევი №9-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

**განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.**

**9.** რ. ტყემალაძის ინფორმაცია ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გულუას ქუჩა, I ხეივნის 6 და 8-ის მიმდებარედ, I ხეივნის ქ. №13-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.18.05.003.111) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – რ. ტყემალაძე. **AR 1163909**

დადგენილი პარამეტრები – **კ2=4,6.**
მოთხოვნილი პარამეტრები – **კ2=4,9.**

**აზრი გამოთქვეს:**

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

**1. მიეცეს თანხმობა** ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გულუას ქუჩა, I ხეივნის 6 და 8-ის მიმდებარედ, I ხეივნის ქ. №13-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის

(საკადასტრო კოდი: №01.18.05.003.111) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=4,9.

**რეკომენდაცია:** მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

**განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.**

**10.** ნ. ფარცხალაძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩა, ფიზიკის ინსტიტუტისა და საბურთალოს ახალი პანთეონს შორის, ინდ. მენაშენთა ამხანაგობა "ვაკე" არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.177) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ნ. ფარცხალაძე. AR 1163902
დადგენილი პარამეტრები – კ2=1,5.
მინიჭებული პარამეტრები – კ2=2,0.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=2,5.

**აზრი გამოთქვეს:**

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. **მიეცეს თანხმობა** ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩა, ფიზიკის ინსტიტუტისა და საბურთალოს ახალი პანთეონს შორის, ინდ. მენაშენთა ამხანაგობა "ვაკე" არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.177) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=2,5.

**რეკომენდაცია:** მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური

3. რეკომენდაცია: გათვალისწინებულ იქნეს კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები, რეკომენდაციები და მოსაზრებები არსებული უძრავი ძეგლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.

განხილვის შედეგი: მომხრე: 5, წინააღმდეგი: 2.

კომისიის თავმჯდომრის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გეგეშიძე

# ქალაქ თბილისის მერი

## განკარგულება № 2169

"9" ოქტომბერი 2013 წ.

ქ. თბილისში, გულუას ქუჩა, I ხეივნის 6 და 8-ის მიმდებარედ, I ხეივნის ქ. №13-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.18.05.003.111), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 26 სექტემბერის სხდომის №38 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, გულუას ქუჩა, I ხეივნის 6 და 8-ის მიმდებარედ, I ხეივნის ქ. №13-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.18.05.003.111), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=4,9.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.” ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE92LB0125152101628703.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა